პრეს რელიზი

რიცხვი: *3 ივლისი 2018 წელი*

კონტაქტი: ირმა გოგოტიშვილი
მარკეტინგის & კომუნიკაციების მენეჯერი, PwC საქართველო
ბიზნეს ცენტრი მეფე დავითი, 7-ე სართული
მ. ალექსიძის ქ. #12, თბილისი 0160, საქართველო
+995 32 2508050
irma.gogotishvili@pwc.com

PwC საქართველოს ახალი მმართველი პარტნიორი ჰყავს

2018 წლის 1 ივლისიდან PwC საქართველოს ახალი მმართველი პარტნიორი ლაშა ჯანელიძეა.

ლაშა წარმატებით შეცვლის ალტაფ ტაპიას, რომელიც კანადაში გადაინაცვლებს 2018 წლის ივლისიდან. ალტაფის ხელმძღვანელობით, PwC საქართველომ თავისი ადგილი დამიმკვიდრა საქართველოს ბაზარზე, დანერგა მომსახურების ახალი მიმართულებები და განახორციელა საინტერესო პროექტები. ფირმას აქვს საკმაოდ მყარი საფუძველი და პოტენციალი, რომ განაგრძოს შემდგომი ზრდა და განვითარება.

ახალი მმართველი პარტნიორის პოზიციაზე, ლაშა ჯანელიძე უხელმძღვანელებს თბილისის ოფისში დასაქმებულ 100-ზე მეტ პროფესიონალს და სათავეში ჩაუდგება ქვეყანაში ფირმის შემდგომ გაძლიერებას და განვითარებას.

ლაშა 2005 წლიდან არის ჩართული PwC საქართველოს ოფისის განვითარების პროცესებში, მას 16 წლიანი პროფესიული გამოცდილება აქვს, არის სერტიფიცირებულ ნაფიც ბუღალტერთა ასოციაციის დიპლომირებული წევრი (FCCA).

PwC-ის შესახებ

PwC-ში ჩვენი მიზანია საზოგადოების ნდობის მოპოვება და მნიშვნელოვანი პრობლემების გადაწყვეტაში მათი დახმარება. ჩვენს ქსელში შემავალი ფირმები 158 ქვეყანაშია განთავსებული და მასში დასაქმებულია 236,000-ზე მეტი ადამიანი, რომლებიც უზრუნველყოფენ მაღალხარისხიანი აუდიტორულ, საკონსულტაციო, საგადასახადო და იურიდიულ მომსახურებებს. მეტი ინფორმაციის მისაღებად და ასევე თქვენი მოსაზრებების გამოსახატავად გთხოვთ ეწვიოთ www.pwc.com.

PwC საქართველოს ოფისი გაიხსნა 2005 წელს და 13 წელია აქტიურად მუშაობს საქართველოს ბაზარზე. ჩვენ, შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველო (PwC საქართველო) ვმუშაობთ, რათა დავეხმაროთ ჩვენს კლიენტებს ადგილობრივ ბაზარზე გახდნენ უფრო წარმატებულები და გლობალურად კონკურენტუნარიანები. დღეს თბილისის ოფისში დასაქმებულია 100-ზე მეტი თანამშრომელი.

"PwC" წარმოადგენს ფრაისუოთერჰაუსკუპერს ინტერნეიშენალ ლიმიტედ-ის კომპანიების ქსელს, რომელთაგან თითოეული არის ცალკე და დამოუკიდებელი იურიდიული პირი. დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ www.pwc.com/structure.

©2018 ფრაისუოთერჰაუსკუპერსი. ყველა უფლება დაცულია.